# ოქმი N1

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი სხდომის**

**24 იანვარი 2023 წელი.**

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 23-მა (ოცდასამი) წევრმა.
(სია თან ერთვის).

ესწრებოდნენ: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

**სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – ვახტანგ ღამბაშიძემ.**

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ.

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მეოთხე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

მეხუთე - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 23 იანვრის N22-2223023227 (შემ. N12-23230242-23; 23.01.23) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

ი. ფუტკარაძემ (ზედა საქარა-დილიკაური-ბოსლევის მაჟორიტარი დეპუტატი) აღნიშნა, რომ სოფელ დილიკაურში სვიანაძეების უბანი მდებარეობს მეწყერულ ზონაში. ამჟამად აღნიშნული ტერიტორია საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მოსახლეობასაც აქვს შესაბამისი პრეტენზიები. მან ითხოვა განმარტება აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით რა გეგმები აქვს მუნიციპალიტეტის მერიას.

გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) აღნიშნა, რომ ზესტაფონი-ჭიათურის მონაკვეთზე მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. სამწუხაროა, რომ მუნიციპალიტეტს მეწყერული პრობლემებით აქვს ორი მონაკვეთი. ერთია სოფელ ქვედა საზანოსკენ მიმავალი გზა და მეორე გახლავთ დილიკაურში სვიანაძეების უბნის მეწყერული ტერიტორია. აღნიშნული პრობლემა პრობლემურია საგზაო დეპარტამენტისთვისაც და აღნიშნავენ, რომ უნდა მოხდეს ტერიტორიების გეოლოგიური შესწავლა, დაიდოს შესაბამისი დასკვნა, შესაძლებელია უკიდურეს სიტუაციაში შეიცვალოს გზის მიმართულებაც.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 22.

წინააღმდეგი: 0.

არ მიიღო მონაწილეობა: 1.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 10 იანვრის N9 23 00000323 (შემ. N03-23230121-23; 11.01.23) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი კ. გოქაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

მომხსენებელმა კ. გოქაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 26 ოქტომბრის N22-222229957 (შემ. N12-23222992-23; 26.10.22) და N22-222229954 (შემ. N12-23222991-23; 26.10.22) მომართვები და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი, რომელიც გატანილი და მიღებული იქნა კომისიის სხდომაზე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ საიჯარო ქირის ოდენობა რომელიც 7 %-ის ოდენობითაა კომისიის რეკომენდაციით მოცემული ძალიან მცირეა.

აღნიშნულს დაეთანხმა საკრებულოს წევრები და კომისიის თავმჯდომარის ნიერ საიჯარო ქირის ოდენობა 25 %-ით იქნა ინიცირებული., რომელსაც საკრებყულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, აანგი ბოჭორიშვილის 2023 წლის 24 იანვრის განცხადება, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვების შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა შესაბამისი განკარგულება.

(თან ერთვის).

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

5. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 23 იანვრის N22-2223023260 (შემ. N12-23230243-23; 23.01.23) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის სპეციალისტი: რ. გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 24 იანვრის  სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. გიორგი კაკოიშვილი
3. ირმა გიორგაძე
4. მამუკა მოდებაძე
5. ბადრი წაქაძე
6. ანგი ბოჭორიშვილი
7. კახაბერ გოქაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. თემური მაღლაკელიძე
10. ნუგზარ ფერაძე
11. რობერტი მახათაძე
12. მაია ჩხეიძე
13. დავით მიქაბერიძე
14. მამუკა კურტანიძე
15. ჯემალ ჯუღელი
16. ვლადიმერ კამლაძე
17. გოჩა მაჭავარიანი
18. რამაზი ფერაძე
19. ნანა ფერაძე
20. მანანა ცქიტიშვილი
21. უჩა ჩუბინიძე
22. ზურაბ ყანჩაველი
23. მაია კახნიაშვილი

აპარატის უფროსი                                    დავით ბარბაქაძე

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2023 წლის 24 იანვრის სხდომის**

**სარჩევი**

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებს.

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შეამადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

5. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ.

**აპარატის უფროსი** **დავით ბარბაქაძე**

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2023 წლის 24 იანვრის სხდომის**

**დღის წესრიგი**

**დასაწ: 12:00 სთ.**

1. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)**

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებს.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე- იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრისა და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**(მომხსენებელი კახაბერ გოქაძე- ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შეამადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე- იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

5. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 23 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ.

**(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე- იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)**

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე